USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამა

# ელექტრონული ჯანდაცვა

## ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ,,ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამა“

http://ehealth.moh.gov.ge/Hmis



# ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მიზანი

- პოლიტიკისა და მართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება სარწმუნო მონაცემებზე დაყრდნობით
- პროცესების სტანდარტიზაციისა და გამჭირვალობის, მათ შორის მომსახურების ხარისხის, უზრუნველყოფა
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ეფექტურობის და კონტროლის გაუმჯობესება

## ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ძირითადი მახასიათებლები

- ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება
- მონაცემთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის საერთაშორისოდ შესადარისი ერთიანი სტანდარტი
- ოპერაციულ დონეზე ეფექტურობის უზრუნველყოფა და ადმინისტრაციული რესურსების ოპტიმიზაცია
- ფინანსურ/ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მონაცემების მონიტორინგი რეალურ დროში
- სარწმუნო სტატისტიკა და ანალიზი
- ცოდნის და გამოცდილების ეფექტური მართვა; მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლინიკური გადაწყვეტილებების მიღება

# ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ძირითადი კომპონენტები

- ✓ სამედიცინო საქმიანობის რეგულირება
- ✓ ფარმაცევტული საქმიანობა
- ✓ ელექტრონული სერვისები
- ✓ აფთიაქებისა და სამედიცინო დაწესებულებების საინფორმაციო პორტალი
- ✓ სამედიცინო მედიაცია
- ✓ იმუნიზაცია
- ✓ მომხმარებელთა მართვის მოდული
- ✓ ფინანსური ანგარიშგება და მართვა
- ✓ სამედიცინო კლასიფიკატორები
- ✓ ანალიტიკური ინსტრუმენტები

# ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალური არქიტექტურა

- ✓ ინფორმაციის მიმოცვლა
- ✓ ადმინისტრირების ინსტრუმენტები
- ✓ ძირეული რეესტრები სხვადასხვა სახის ვალიდაციებისთვის



# ჯანმრთელობის დაცვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში ჩართული მხარეები

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- ✓ სოციალური მომსახურების სააგენტო
- ✓ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
- ✓ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო
- ✓ შემოსავლების სამსახური

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა
- ✓ სახელმწიფო პროგრამაში ჩართული, და არა მარტო, ჯანმრთელობის დაცვის სერვისის მომწოდებლები; სამომავლოდ ყველა დაწესებულება
- ✓ სოფლის ექიმები
- ✓ სადაზღვევო კომპანიები
- ✓ საქართველოს მოქალაქეები

# სამედიცინო საქმიანობის რეგულირების კომპონენტი

**სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირებისა და ნებართვების მოდულისა და სამედიცინო პერსონალის სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის მოდულის მახასიათებლები**

- ელექტრონული რეესტრების წარმოება და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა
- სრულყოფილი ისტორიები სამართალმემკვიდრეობის გათვალისწინებით (ლიცენზიების, ნებართვების, აკრედიტაციის შესახებ)
- ინფორმაცია სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, ერთი ან რამდენიმე სერტიფიკატის ფლობის და გამოცდილების შესახებ
- პერსონალის საექიმო საქმიანობების უფლების შეჩერება/გაუქმების შესახებ ინფორმაციის ტრანსპარენტულობა
- სამომავლოდ ინფორმაცია სამედიცინო პერსონალის დაწესებულებებში განაწილების შესახებ



# ფარმაცევტული საქმიანობის კომპონენტი

## შემადგენელი მოდულები

- ფარმაცევტული და სააფთიაქო დაწესებულებების მოდული
- ფარმაცევტული პროდუქტების მოდული
- ფარმაცევტული პროდუქტების ელექტრონული რეგისტრაციის მოდული (eCTD)
- ელექტრონული დანიშნულების მოდული

## ფარმაცევტული და სააფთიაქო დაწესებულებების მოდულის მახასიათებლები

- ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული და მოქმედი ფარმაცევტული დაწესებულებების სრულყოფილი აღრიცხვა და იდენტიფიცირება საქმიანობის სახეების მიხედვით
- სააფთიაქო და ფარმაცევტული დაწესებულებების, ასევე ფარმაცევტული პროდუქტების ინსპექტირების შედეგების ისტორიის აღრიცხვა
- მონაცემების სტანდარტიზება, ჩანაწერების დუბლირების პრევენცია

# ფარმაცევტული საქმიანობის კომპონენტი -II

## ფარმაცევტული პროდუქტების მოდულის მახასიათებლები

- ქვეყანაში ნებადართული ფარმაცევტული პროდუქტების სრულყოფილი ნუსხა
- შემოსავლების სამსახურთან იმპორტ/ექსპორტის შესახებ ინფორმაციის რეალურ დროში გაცვლის შესაძლებლობა
- მოქალაქეების უსაფრთხოება; ფარმაცევტული პროდუქტების მიკვლევადობის უზრუნველყოფა სადისტრიბუციო ქსელში წამლის უნიკალური კოდის მიხედვით
- მონაცემების სტანდარტიზება, ჩანაწერების დუბლირების პრევენცია
- სამედიცინო პერსონალის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა, პროდუქტების ანოტაციებზე და სხვადასხვა სამედიცინო/სამეცნიერო ინფორმაციაზე დაყრდნობით

## ფარმაცევტული პროდუქტების ელექტრონული რეგისტრაციის (eCDT) მოდულის მახასიათებლები

- ნორმატიულ-ტექნიკური დოსიეს და ექსპერტიზის პროცესის სტანდარტიზაცია
- რეგისტრაციის პროცესის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან; ასევე, აღიარებული მაღალი სანდოობის მარეგულირებლების ანალოგიურ სარეგისტრაციო ინტერფეისთან მიერთების ტექნიკური შესაძლებლობა
- მაღალხარისხიანი მედიკამენტების რეგისტრაციის უზრუნველყოფა
- დროითი, ფინანსური და ტექნიკური რესურსების ოპტიმიზაცია
- მონაცემების სისტემატიზაცია და ინფორმაციის მოძიების სიმარტივე

# ფარმაცევტული საქმიანობის კომპონენტი - III

## ელექტრონული დანიშნულების მოდული




## მოდულის მახასიათებლები

- ინფორმაციის ცენტრალურად მობილიზება; სარწმუნო სტატისტიკისა და ანალიზის წარმოების შესაძლებლობა
- მკურნალობის ხარჯთ-ეფექტურობის, ასევე პროფესიულად ინფორმატიული გადაწყვეტილების მიღების და/ან კორექციის უზრუნველყოფა
- სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში ფარმაცევტული პროდუქტის სარგებლის ლიმიტის კონტროლი
- თაღლითობისა და მკურნალობის დუბლირების აღმოფხვრა
- ქრონიკული დაავადებებისთვის მქონე პაციენტთათვის დანიშნულების განახლება ექიმთან ვიზიტის გარეშე
- დროითი, ადამიანური და ფინანსური რესურსების ოპტიმიზაცია ელექტრონული ანგარიშგების ხარჯზე
- სამომავლოდ, სამედიცინო მომსახურების გაწევის მომენტში სამედიცინო/სამეცნიერო რესურსთან წვდომის პროგრამული უზრუნველყოფა

# ელექტრონული სერვისების კომპონენტი




## კომპონენტის მახასიათებლები

- გამარტივებული ელექტრონული ურთიერთკავშირი ჯანდაცვის სამინისტროსა და სხვა ჩართულ მხარეებს შორის
- ნებართვებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების ელექტრონულად მოპოვება
- დროითი და მეტერიალური დოკუმენტების დანახარჯების შემცირება
- სწრაფი და უტყუარი ინფორმაციის მიღება/ გაცვლა ონლაინ რეჟიმში

# აფთიაქებისა და სამედიცინო დაწესებულებების საინფორმაციო პორტალი




## პორტალის მახასიათებლები

- სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიული და ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- ფარმაცევტული პროდუქციაზე გეოგრაფიული და ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- კლინიკის და აფთიაქის ხელსაყრელი შერჩევა
- ფასების ტრანსპარენტულობა და დინამიკა
- ადმინისტრაციული რესურსების დაზოგვა

# სამედიცინო მედიაცია




## კომპონენტის მახასიათებლები

- განაცხადების რეალურ დროში და ერთიანი სტანდარტით აღრიცხვა
- განაცხადების ელექტრონული ადმინისტრირება და მართვა
- რეაგირების მარტივი, დროული და მოქნილი სისტემა
- სტატისტიკური დაკვირვება და ანალიზი
- განაცხადების განხილვის მოქნილი მექანიზმები
- მხარეთა შორის უკუკავშირის მარტივი სისტემა

# იმუნიზაციის მოდული

## კომპონენტის მახასიათებლები

- კონტინგენტის სრულყოფილი აღრიცხვა და მონიტორინგი
- მონაცემების ცენტრალიზაცია და ადმინისტრირების გამარტივება (ქაღალდით წარდგენილი ანგარიშგებების ხარჯზე)
- ვაქცინის ხარჯვის მონიტორინგი
- სარწმუნო სტატისტიკური და ეპიდემიოლოგიური ანალიზის წარმოების შესაძლებლობა



# იმუნიზაცია მოდულის
## მოკლე აღწერილობა

- პროფილაქტიკური აცრებისა და ვაქცინაციის პროცესის რეალურ დროში მონიტორინგის უზრუნველყოფა; მონაცემების ზუსტი და სრული ასახვის ტექნიკური უზრუნველყოფა
- პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მომსახურების შესახებ ანგარიშგების და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების მართვის პროცესის ავტომატიზაცია
- ბენეფიციარის მიგრაციის მონიტორინგი რეალურ დროში (პროვაიდერებს შორის)
- შეტყობინებების სისტემა პროვაიდერისთვის და მოსახლეობისთვის
- პროვაიდერებისთვის მოცვის კონტიგენტის და ასაცრელი მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის რეალურ დროში გენერირება
- საინვენტარო, შრომითი და ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირება
- მოქნილი სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობა, უფრო მაღალი სანდოობის მონაცემებზე დაყრდნობით.
- ვაქცინის საჭიროებების განსაზღვრა პროვაიდერებისთვის და ა.შ.

# მომხმარებელთა მართვის მოდული

## მოდულის მახასიათებლები

| | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | სადაზღვევო კომპანია | პროვაიდერი |
|---|---|---|---|
| • ინსტრუმენტი მომხმარებლებისა და მათი დაშვების დონეების მართვისთვის | ☑ | | |
| • მომხმარებლების ერთიანი სია ყველა საინფორმაციო მოდულისთვის | ☑ | ☑ | ☑ |
| • ერთჯერადი სავალდებულო ავტორიზაცია მოდულებთან შესაბამისი წვდომის მისაღებად | ☑ | ☑ | ☑ |
| • შესაბამისი დაწესებულებებისთვის მომხმარებლებისა და დაშვების დონეების ავტონომიურად მართვის შესაძლებლობა | ☑ | ☑ | ☑ |
| • გარე საინფორმაციო სისტემების ერთიან სამომხმარებლო და დაშვების დონეების მართვის მოდულში ინტეგრირების შესაძლებლობა | ☑ | ☑ | ☑ |

# ფინანსური აღრიცხვის და მართვის კომპონენტი

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფინანსური მართვის მოდული
- სამედიცინო შემთხვევების რეგისტრაციის მოდული
- სამედიცინო სერვისებით  მოსარგებლეთა რეგისტრაციის მოდული
  - ზოგადი ამბულატორია
  - სოფლის ექიმი
  - დიალიზი
  - ფსიქიატრია
  - ანტენატალური მომსახურება
- ელექტრონული ანგარიშგების მოდული სადაზღვევო კომპანიებისთვის
- ელექტრონული ანგარიშგების მოდული სამედიცინო დაწესებულებებისთვის

# ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფინანსური მართვის მოდული

## მოდულის მახასიათებლები

- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული კონტრაქტების და მათი პირობების ელექტრონული აღრიცხვა და მართვა
- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწოფო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების კონტროლი და ანალიზი
- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწოფო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებებთან ანგარიშსწორების პროცედურების ავტომატიზაცია
- ინფორმაციის რეალურ დროში გაცვლა სახელმწიფო ხაზინასთან
- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ფინანსური რესურსების მოძრაობის სრულყოფილი ანალიზი
- მოქნილი ინსტრუმენტი საბიუჯეტო ერთეულების, ფინანსური ლიმიტებისა და შესაბამისი ცვლილებების მართვისთვის



# სამედიცინო შემთხვევების რეგისტრაციის მოდული

## მოდულის მახასიათებლები

- სამედიცინო შემთხვევების რეალურ დროში და ერთიანი სტანდარტით აღრიცხვა
- სამოქალაქო რეესტრის ბაზის მეშვეობით პაციენტის პირადი ინფორმაციისა და დაზღვევის სტატუსის ავტომატურად შევსება/სინქრონიზაცია
- სამედიცინო შემთხვევის მომსახურებაში ჩართული მხარეების დროული ინფორმირება ელექტრონულ ფორმატში
- სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო პერსონალის ავტომატური იდენტიფიკაცია
- პირის სხვადასხვა დაწესებულებაში ერთდროულად დარეგისტრირების პრევენცია
- შემთხვევების ინსპექტირება და ანალიზი როგორც რეალურ დროში, ისე რეტროსპექტულად



# სამედიცინო სერვისებით მოსარგებლეთა რეგისტრაციის მოდული




## მოდულის მახასიათებლები

- სამედიცინო სერვისებით მოსარგებლეთა ცენტრალიზებული რეესტრი ქვეყანაში არსებულ ყველა დაწესებულებასა და სოფლის ექიმთან
- ინფორმაციის ერთიანი სტანდარტით აღრიცხვა; სამედიცინო ჩანაწერების აღრიცხვა (ამბულატორიული ბარათი)
- დუბლირების აღმოფხვრა თითოეული პირის დარეგისტრირებით მხოლოდ ერთ დაწესებულებაში
- ადამიანის მოქალაქეობრივი, სადაზღვევო და სხვა სტატუსების იდენტიფიკაცია სხვადასხვა რეესტრებთან
- დაფინანსების გამჭვირვალობა
- ადმინისტრირების გამარტივება  და ხარჯების დაზოგვა სახელმწიფო სახსრების ეფექტურად გამოყენება და პროგნოზირება
- სახელმწიფო ამბულატორიული პროგრამის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხების კალკულაციის მოქნილი მექანიზმი
- ინფორმაციის მრავალდონიანი ანალიზის შესაძლებლობა

# ელექტრონული ანგარიშგების მოდული

## ელექტრონული ანგარიშგების მოდული სადაზღვევო კომპანიებისთვის და სამედიცინო დაწესებულებებისთვის




## მოდულის მახასიათებლები

- ინფორმაციის აღრიცხვისა და გაცვლის ერთიანი სტანდარტი (ერთიანი სააღრიცხვო ფორმები და ინვოისები)
- მომხმარებელთა მხრიდან არასწორი მონაცემების მინიმალური ალბათობა
- მონაცემთა იდენტიფიცირება და ვალიდაცია სხვადასხვა შიდა და გარე უწყებების მონაცემთა ბაზებთან
- საბიუჯეტო სახსრების ეფექტური მართვა, დაფინანსების გამჭვირვალობა და ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსების დაზოგვა
- ინფორმაციის მრავალდონიანი ანალიზის შესაძლებლობა

# სამედიცინო კლასიფიკატორები

## კომპონენტის მახასიათებლები

- ქვეყანაში დამტკიცებული სამედიცინო კლასიფიკატორების ერთიანი მონაცემთა ბაზა (ICD10, NCSP, ICPC2, ლაბორატორიული კლასიფიკატორი)
- მუდმივად განახლებადი ინფორმაცია კლასიფიკატორებისა და მათ შორის კავშირების შესახებ
- ინსტრუმენტი სამედიცინო კლასიფიკატორების მართვა/სრულყოფისათვის
- ელექტრონული პორტალი და სერვისები გარე სისტემებთან კომუნიკაციისთვის



# ანალიტიკური ინსტრუმენტები



## კომპონენტის მახასიათებლები

- ანალიტიკური დიაგრამებისა და გრაფიკული სქემების გენერირება
- სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით ინფორმაციული ნაკადების შედარება, მონიტორინგი და ანალიზი
- სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დინამიური სქემების გენერირება
- ინფორმაციის მრავალდონიანი ანალიზის შესაძლებლობა სხვადასხვა ჭრილში (დროის ინტერვალი, გეოგრაფიული განაწილება და ა.შ.)

# ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ელექტრონული გვერდი

http://ehealth.moh.gov.ge/Hmis/Portal/Default.aspx

*გთხოვთ, იხილოთ მომხმარებლის დამხმარე სახელმძღვანელოები და ვიდეო გაკვეთილები თითოეული მოდულის „დახმარება“ -ის მენიუში.*

## გმადლობთ ყურადღებისთვის!